ოქმი:**ო06. 3723342001**

თარიღი:**08/12/2023**

ოქმი # 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

2023 წელი

07 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

14:00-15:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ნინო ჭანიშვილი- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

თავმჯდომარის მოადგილე: ვლადიმერ ხავთასი

საბჭოს წევრები: ლავრენტი ბიგვავა, ქეთი ვასაძე, მარიკა ჩხიკვიშვილი, ბესო მელუა, ნუგზარ ურუშაძე, ტარიელ აროშიძე, ეროდი გორდელაძე, ბექა თოიძე, ნანა ღაჟონია, გიორგი შილაკაძე.

მოწვეული სტუმრები:

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური - კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განყოფილების სპეციალისტი ქეთი მახარაძე;

მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების უფროსი მაიზერ ცელაძე;

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ხათუნა სურგულაძე.

სხდომის თავმჯდომარე ნინო ჭანიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და გააცნო მათ სხდომის დღის წესრიგი. სხდომას ესწრებოდა 12 წევრი.

დღის წესრიგი:

1. ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ვიდეო რგოლის ჩვენება და მუნიციპალიტეტის პროგრამების და სერვისების გაცნობა.

მომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე წევრებს აჩვენა თემატური ვიდეო რგოლი ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, შემდეგ სიტყვა გადასცა მოწვეულ სტუმარს, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების უფროსს მაიზერ ცელაძეს, მან საბჭოს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების პროგრამულ მუხლში ჩადებული გენდერულ საკითხთა, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა - პროგრამა ითვალისწინებს:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან მცხოვრები, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი დახმარების ფულადი ფორმით 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი დახმარება 2023 წელს გაეწია ძალადობის მსხვერპლ 12 ქალს, აქვე მან აღნიშნა, რომ ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე 5 ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი დროებით სარგებლობაში სოფელ მერიასა და ქალაქ ოზურგეთში, ასევე ბინის ქირის უზრუნველყოფით დახმარება გაეწია 3 ოჯახს.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების შესახებ

მომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი.

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს დამსწრე წევრებს გააცნო აღნიშნული პროგრამის შესახებ და სიტყვა გადასცა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსს ხათუნა სურგულაძეს, მან საბჭოს გააცნო, რომ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის ბიუჯეტი 2023 წლისთვის შეადგენდა 100000 (ასიათასი) ლარს, აქედან 50% თანადაფინანსებით შემოვიდა დონორი ორგანიზაცია გაეროს განვითარების ფონდი. აღნიშნულ პროგრამას ქონდა რამოდენიმე მიზანი, მთ შორის: დასაქმების ხელშეწყობა, კოოპერატივების გაძლიერება, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ხელშეწყობა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 54 ბენეფიციარმა, ხოლო საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული და დაფინანსებულია იქნა 13 ბენეფიციარი, აქედან 9 ქალია.

3. გენდერული თანასწორობის საბჭოს და NDI საპილოტე პროექტი: ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული ანალიზისა და სამოქმედო გეგმის მომზადება.

მომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს დამსწრე წევრებს გააცნო აღნიშნული პროექტის შესახებ, მან განაცხადა, რომ ეს არის საპილოტე პროექტი, რომელიც ხორციელდება მსოფლიოს 4 მუნიციპალიტეტში და საქართველოში ოზურგეთის მუნიციპალიტეტი არის პირველი სადაც გენდერული თანასწორობის საბჭო დაიწყებს ამ მიმართულებით მუშაობას და აწარმოებს კვლევებს სხვადსხვა მუნიციპალურ პროგრამებზე.

4. გენდერული თანასწორობის საბჭოს და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის მიერ პროექტ "ქალების ძალა - ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობა ინკლუზიური საზოგადოებისთვის საქართველოში" ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები და ინიციატივები

მომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს დამსწრე წევრებს გააცნო აღნიშნული რეკომენდაციები და ინიციატივები:

1. საკითხის სისტემური და კომპლექსური მოკვლევა (რაოდენობრივი კვლევა, სეგრეგირებული

ბაზის შექმნა, ადვოკატირების პროცესის წარმოება მოქალაქეობის მიღების საკითხზე)

2. საჭიროების კვლევა (სოფლების მიხედვით) და შეფასება საბიუჯეტო პროგრამის

შემუშავების პროცესში

3. სოფლებში ქალთა საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს

სოფლის საერთო კრებებზე ჩართულობის გაზრდას

4. გენდერული საბჭოს მიერ მიმართვის მომზადება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის დანიშვნის საკითხზე.

დებულებით განისაზღვროს აღნიშნულ პოზიციაზე დანიშნული პირების გენდერული

ბალანსი კვოტირების პრინციპით (მაგ: სულ მცირე 30% იყოს ქალი)

5. დაიგეგმოს ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები გენდერული თანასწორობის

თემაზე, სადაც მოწვეული იქნებიან სოფლის თემის წარმომადგენლები (პედაგოგები,

ახალგაზრდები და სხვ.)

6. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის

დოკუმენტის შექმნა

7. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგებისთვის მეთოდური გამოცდების

საკვალიფიკაციო მოთხოვნაში გენდერული ასპექტის ინტეგრირება

8. შშმ პირების (მათ შორის ქალების) საჭიროებების კვლევა და შესაბამისი მუნიციპალური

პროგრამების შემუშავება.

9. რეკომენდაცია: ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტის შექმნა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

ნინო ჭანიშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს
თავჯდომარე